სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
360.160.000.12.202.005.568

საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის, საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №27–№105–№23–№316/ნ

2002 წლის 1-7-1-8 ნოემბერი

ქ. თბილისი

"სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, აფეთქების სამუშაოების განხორციელებისას, ნაყარების განლაგებისას და ექსპლუატაციისას ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს 1999 წლის 22 ივნისის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999 წ., №30/37) მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებთ:**

1. დამტკიცდეს თანდართული ინსტრუქცია „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, აფეთქების სამუშაოების განხორციელებისას, ნაყარების განლაგებისას და ექსპლუატაციისას ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების შესახებ".
2. ეს ბრძანება გამოქვეყნდეს ნორმატიული აქტის სახელმწიფო რეესტრში შეტანიდან 7 დღის ვადაში.
3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

თ. ჯანელიძე

ნ. ჩხობაძე

ა. ბეჟანიშვილი

ა. გამყრელიძე

ინსტრუქცია „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, აფეთქების სამუშაოების განხორციელებისას, ნაყარების განლაგებისას და ექსპლუატაციისას ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების შესახებ"

თავი I
ზოგადი ნაწილი

მუხლი 1. ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც და რომლის შესასრულებლადაც მიღებულ იქნა ინსტრუქცია" სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, აფეთქების სამუშაოების განხორციელებისას, ნაყარების განლაგებისას და ექსპლუატაციისას ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების შესახებ"

ინსტრუქცია მიღებულია „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ამავე კანონით დადგენილი სამართლებრივი ნორმების შესრულების მიზნით.

მუხლი 2. ინსტრუქციის რეგულირების საგანი

ინსტრუქცია არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ (საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) პირებს შორის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, აფეთქების სამუშაოების განხორციელებისას, ნაყარების განლაგებისას და ექსპლუატაციისას ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისაგან დაცვის სფეროში.

მუხლი 3. საკანონმდებლო სისტემა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, აფეთქების სამუშაოების განხორციელებისას, ნაყარების განლაგებისას და ექსპლუატაციისას ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში

ინსტრუქცია ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, "გარემოს დაცვის შესახებ", "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ", "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონებს, ასევე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

მუხლი 4. ინსტრუქციის მიზანი და ამოცანა

1. ინსტრუქციის მიზანია უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, აფეთქების სამუშაოების განხორციელებისას, ნაყარების განლაგებისას და ექსპლუატაციისას ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურებისაგან დაცვა.

2. ინსტრუქციის ამოცანაა უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, აფეთქების სამუშაოების განხორციელების, ნაყარების განლაგების და ექსპლუატაციის საქმიანობის შემთხვევაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების განსაზღვრა.

მუხლი 5. ძირითად ტერმინთა განმარტებანი

ა) ,,ატმოსფერული ჰაერი" – ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;

ბ) ,,გარემოზე პოტენციურად მავნე ზეგავლენის მქონე საქმიანობა" – ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, აფეთქების სამუშაოების განხორციელება, ნაყარების განლაგება და მათი ექსპლუატაცია;

გ) ,,მავნე ნივთიერება" – ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შესაძლებელია მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;

დ) ,,ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებით დაბინძურება" არის ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში ნებისმიერი ნივთიერების გაფრქვევა (ემისია), რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;

ე) ,,საუკეთესო ტექნოლოგია" – გარემოსდაცვითი თვალსაზრისით საუკეთესო, გამოყენებადი და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი ტექნოლოგია, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტურია გარემოზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების, მინიმუმამდე შემცირების ან გარდაქმნის თვალსაზრისით; შესაძლოა არ იყოს ფართოდ დანერგილი, მაგრამ მისი ათვისება, დანერგვა და გამოყენება შესაძლებელია ტექნიკური თვალსაზრისით; შესაძლოა ეკონომიკურად არ განაპირობებდეს მნიშვნელოვნად მაღალი ღირებულების ხარჯზე ზღვრული გარემოსდაცვითი სარგებლის მიღების მიზანშეწონილობას, მაგრამ იგი, ამავე დროს, ეკონომიკური თვალსაზრისით ხელმისაწვდომია საქმიანობის სუბიექტისათვის.;

ვ) ,,საუკეთესო ტექნიკა" – საუკეთესო ტექნოლოგია და მისი მართვის, ორგანიზაციის, ზედამხედველობის, კონტროლის მეთოდები და განხორციელების საშუალებები;

ზ) ,,საქმიანობის სუბიექტი" – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, აფეთქების სამუშაოების განხორციელებისას, ნაყარების განლაგებისას

და ექსპლუატაციისას პასუხისმგებელია საქმიანობის სწორ წარმართვაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. ინსტრუქციაში გამოყენებული ძირითადი ტერმინები

ამ ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს, თუ განსაკუთრებული მითითება არ არის, ამავე დებულების მე-5-ე მუხლში მოყვანილი მნიშვნელობა აქვთ.

თავი II
ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებები და ვალდებულებები სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, აფეთქების სამუშაოების განხორციელებისას, ნაყარების განლაგებისას და ექსპლუატაციისას

მუხლი 7. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებები სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, აფეთქების სამუშაოების განხორციელებისას, ნაყარების განლაგებისას და ექსპლუატაციისას

ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებები სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, აფეთქების სამუშაოების განხორციელებისას, ნაყარების განლაგებისას და ექსპლუატაციისას განისაზღვრება "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლით და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.

მუხლი 8. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ვალდებულებები სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, აფეთქების სამუშაოების განხორციელებისას, ნაყარების განლაგებისას და ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის შემთხვევაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში

ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ვალდებულებები სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, აფეთქების სამუშაოების განხორციელებისას, ნაყარების განლაგებისა და ექსპლუატაციისას განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.

თავი III
ძირითადი ნაწილი

მუხლი 9. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის შემცირება, თავიდან აცილება

1. გარემოზე პოტენციურად მავნე ზემოქმედების საქმიანობის წარმოებისას საქმიანობის სუბიექტები შეიმუშავებენ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, აფეთქების სამუშაოების განხორციელებისას, ნაყარების განლაგებისას და ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის შესაძლო სქემებს და შეარჩევენ ატმოსფერული დაბინძურების შემცირების ან თავიდან აცილების სტრატეგიებს, ათანხმებენ მათ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან 5 წელიწადში ერთხელ და განახორციელებენ მათ.

2. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, აფეთქების სამუშაოების განხორციელებისას, ნაყარების განლაგებისას და ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის შემცირების და/ან თავიდან აცილების სტრატეგიები მოიცავს სათანადო ზომებს, რომლებიც ითვალისწინებს საუკეთესო ტექნოლოგიების და ტექნიკის გამოყენებას, სათანადო ქმედებებს (მაგალითად, მავნე (ტოქსიკური) ნივთიერებ(ებ)ისათვის ნაკლებად მავნე ალტერნატიული ნივთიერებ(ებ)ის შერჩევა, აგრეთვე გაფრქვევის ლოკალიზაცია და სხვა) საქმიანობის წარმოების შედეგად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მინიმიზაციის ან თავიდან აცილების მიზნით, აგრეთვე გაუთვალისწინებელ მდგომარეობებზე რეაგირების მოქმედებათა გეგმებს და სხვა სათანადო ზომებს.

3. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, აფეთქების სამუშაოების განხორციელებისას, ნაყარების განლაგებისას და ექსპლუატაციისას ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მინიმიზაციის და/ან თავიდან აცილების მიზნით დასახული გასატარებელი ზომები დამოკიდებულია ამ ზომების

გატარების გარემოებებზე, გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების საშიშროების მასშტაბებზე. გარემოზე პოტენციურად მავნე ზემოქმედების საქმიანობის წარმოებისას საქმიანობის სუბიექტსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის შემცირების და/ან თავიდან აცილების სტრატეგიების განხილვისა და შეთანხმების პროცესში ხელი უნდა შეეწყოს გონივრული, ეკონომიკურად ეფექტური ზომების შერჩევას, რომელიც განაპირობებს ადამიანის ჯანმრთელობის და გარემოს ადეკვატურ დაცვას.

4. ნაყარების განლაგებისას და ექსპლუატაციისას საქმიანობის სუბიექტმა უნდა გაითვალისწინოს „ნაგავსაყრელების ექსპლუატაციისას ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესის შესახებ" ინსტრუქციის მოთხოვნები.

მუხლი 10. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, აფეთქების სამუშაოების განხორციელებისას, ნაყარების განლაგებისას და ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის რისკის შეფასება, მისი შემცირების ღონისძიებები

1. საქმიანობის სუბიექტმა უნდა გაითვალისწინოს მისი საქმიანობით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი შედეგები გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე, კერძოდ, ადგილსამყოფელის შერჩევის, არსებული ხელმისაწვდომი რესურსების (ტექნიკა, ტექნოლოგიები, მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხი, ადგილობრივი თავისებურებანი და სხვა) და იმ პროგნოზირებადი რისკების თვალსაზრისით, რომლებიც წარმოიშვება საქმიანობის წარმოების პროცესში, უნდა გაატაროს ყველა ზომა რისკის მინიმიზაციის და უარყოფითი შედეგების შემცირების უზრუნველსაყოფად.

2. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, აფეთქების სამუშაოების განხორციელების, ნაყარების განლაგების და ექსპლუატაციის საქმიანობის დაწყებამდე საქმიანობის სუბიექტი შეიმუშავებს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის შემცირების და/ან თავიდან აცილების სტრატეგიებს და ათანხმებს მათ ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციასთან, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან ან მათ ტერიტორიულ ორგანოსთან (კომპეტენციის შესაბამისად) 5 წელიწადში ერთხელ.

3. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, აფეთქების სამუშაოების განხორციელების, ნაყარების განლაგების და ექსპლუატაციის საქმიანობის დაწყებამდე საქმიანობის სუბიექტები შესათანხმებელი სტრატეგიების კონტექსტში შეიმუშავებენ თავისი პერსონალის სწავლების და მომზადების პროგრამებს და განახორციელებენ მათ.

4. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, აფეთქების სამუშაოების განხორციელების, ნაყარების განლაგების და ექსპლუატაციის საქმიანობის დაწყებამდე საქმიანობის სუბიექტები შესათანხმებელი სტრატეგიების კონტექსტში შეიმუშავებენ მოსახლეობის ინფორმირების და გათვითცნობიერების პროგრამებს და განახორციელებენ მათ.

მუხლი 11. პასუხისმგებლობა ინსტრუქციის მოთხოვნათა დარღვევისათვის

პასუხისმგებლობა ინსტრუქციის მოთხოვნათა დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი IV
დასკვნითი ნაწილი

მუხლი 12. ინსტრუქციაში ცვლილებების და დამატებების შეტანა

ინსტრუქციაში ცვლილებები და დამატებები შეიტანება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის, საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის, საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.